უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№9 (100) 2019

ყველაზე მაღალრეიტინგულები თსუ-ში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი 16 სექტემბერს დაიწყო. წელს 5000 აბიტურიენტი თსუ-ს სტუდენტი გახდა. მათგან დაახლოებით ნახევარმა სასწავლო გრანტი მოიპოვა. ახალი სასწავლო წლის დაწყების ღონისძიებაზე თსუ-მ სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვა ფაკულტეტებზე ჩარიცხული ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტები; მათ შორის, 1+4 პროგრამაზე ჩარიცხული აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურენოვანი სტუდენტები.

გაგაცნობთ ფაკულტეტების მიხედვით მაღალრეიტინგულ სტუდენტებს, მათ ინტერესებს, სურვილებსა და სამომავლო გეგმებს.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ისევე, როგორც გასულ წელს, თსუ-ში ჩარიცხულ პირველკურსელთა შორისაა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულის მქონე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების სტუდენტი ***დანიელ სტეპანენკო***. დანიელმა თბილისის 72-ე საჯარო სკოლა დაამთავრა. ბავშვობიდან დაინტერესებულია ფიზიკით და მომავალში თეორიული ფიზიკის, კერძოდ, ბიოფიზიკის განვითარებას გეგმავს. თავისუფალ დროს სამეცნიერო წიგნებს კითხულობს, მის საყვარელ ავტორებს შორისაა რიჩარდ ფეინმანი, რიჩარდ დოკინზი და კარლ საგანი.

„ფიზიკით დოკუმენტურმა ფილმმა „The physics of light“ შთამაგონა. ძალიან მიყვარს ერთდროულად მათემატიკა და სამყაროს შესწავლა, ფიზიკა

გაგრძელება მე-2 გვ.

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2019“ თსუ-ში

ანიმაციის კლასი

ანიმაციის კლასი, როგორ ავაწყვე ტელესკოპი, საბავშვო მეცნიერება სკოლის მოსწავლეებისთვის, საქართველოს ეროვნული აგლასისა და გეოგრაფიული აგლასის გამოფენა: ეს მცირე ჩამონათვალია იმ ღონისძიებებისა, რომელიც „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2019"-ის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში თვის ბოლომდე თსუ-ში არაერთი ღონისძიება, საჯარო ლექცია და გამოფენაა დაგეგმილი.

***

ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში სკოლის მოსწავლეებისათვის ანიმაციის კლასის ვორქშოფი გაიმართა. ვორქშოფის ფარგლებში მონაწილეებმა შეისწავლეს ფილმწარმოების ყველა ეტაპი, გაეცნენ ანიმაციის ტექნოლოგიებსა და ტექნიკებს (2 ანიმაცია, stop-motion ანიმაცია) და იმ კომპიუტერულ პროგრამებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ანიმაციურ ფილმზე მუშაობა. ღონისძიების ფარგლებში შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი ანიმაცია.

ალექსანდრე დვალის საჯარო ლექცია – „როგორ ავაწყვე ტელესკოპი?"

ფესტივალის ფარგლებში ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და საქართველოს ასტრონომიის კლუბის ორგანიზებით გაიმართა საქართველოს ასტრონომიის კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებლის,

გვ. 4

თსუ კვლავ რუსთაველის ფონდის კონკურსის ლიდერია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში გრადიციულად ლიდერობენ.

2019 წლის კონკურსში გამარჯვებული 56 პროექტიდან 29 პროექტი (გამარჯვებული პროექტების ნახევარზე მეტი) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტებს ეკუთვნით.

კონკურსში ერთ-ერთი უმაღლესი შეფასება დაიმსახურა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების დოქტორანტმა, ბაბა გულაშვილმა. თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერის პროექტის საკვლევი არეალია მდინარე რიონის აუზი კოლხეთის დაბლობის ფარგლებში.

ბაბა გულაშვილის კვლევა ითვალისწინებს რიონის აუზის წყლის რესურსების რაოდენობრივ შეფასებას და მათი ინტეგრირებული მართვის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებას. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის განხორციელება მეთოდოლოგიურად პირველი მცდელობა იქნება საქართველოში წყლის რესურსების შეფასებისა და საიუზო მართვის თანამედროვე პრინციპების შემუშავების საქმეში, რისთვისაც პირველად იქნება გამოყენებული მოდელირების პროგრამული უზრუნველყოფა Aquatool, რომელიც გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერ პლატფორმას წარმოადგენს.

ბაბა ასე ხსნის კვლევის დეტალებს:

„საქართველოს წყლის რესურსების უდიდესი მარაგი გააჩნია, ამ მხრივ რიონის აუზი გამორჩეულია წყალუხვობით, ასევე მოწყვლადი არეალების სიმრავლით, განსაკუთრებით ქვემო დინებაში. აქ, რიონის შუა დინების მონაკვეთზე, მდებარეობს საქალაქო (ქუთაისი და სამგრედია) და მათი მომიჯნავე სასოფლო დასახლებები, ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

როგორც მთელ საქართველოში, ასევე ამ რეგიონშიც, ჰიდროგრაფიული ქსელი სრულად არ არის ჩართული წყლით უზრუნველყოფის საქმეში და არც მათი რაციონალური გამოყენებისა და ინტეგრირებული მართვის ჩამოყალიბებული გეგმა არსებობს. სასოფლო დასახლებებში მდინარიდან წყალაღების პრაქტიკაც არ არსებობს, იქ ძირითადად მიწისქვეშა წყლების მარაგი გამოიყენება ან არსებობის შემთხვევაში ხევის წყლის რესურსებით საზრდოობენ, რომელთა გამოყენება არ ეფუძნება რეალურ მოთხოვნილებებსა და მარაგებზე დაფუძნებულ გაანგარიშებებს და სასარგებლო ეფექტსაც არ იძლევა. რიონის აუზის კოლხეთის დაბლობის ნაწილში, კერძოდ კი შუა დინების მონაკვეთში ფიქსირდება დასახლებების ფარგლებში მდინარი წყლები, რომლებიც ისევ რიონში ჩაედინებიან და უფრო ქვემო დინებაში ბრდიან სტიქიური რისკის საფრთხეებს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2000 წელს ევროპის ქვეყნებმა შეიმუშავეს წყლის ჩარრო დირექტივა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა წყლის რე-

გაგრძელება მე-3 გვ.

„შემოდგომის ლეგენდა – 2019“, შენი აღმოჩენის დრო!

თუ ხარ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, თუ გიყვარს ლიტერატურა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კომპანია „სილქნეტი" გთავაზობთ სტუდენტურ ლიტერატურულ კონკურსს „შემოდგომის ლეგენდა“.

კონკურსში მონაწილეობა საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის, სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებს შეუძლიათ.

კონკურსის ფინალური ტური წინანდალში, ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე ჩატარდება. წინანდლის უნიკალური ბაღი ლეგენდის წლევანდელი კონცეფციაა. „მწვანე თარგი“ – სილამაზის, კომფორტის და ფუნქციის სინთეზი.

I ეტაპი – შიდა შესარჩევი ტური

მონაწილეობის მსურველებმა, 16 სექტემბრიდან – 13 ოქტომბრის ჩათვლით, შეავსეთ აპლიკაცია.

პროზაული ნაშრომი უნდა იყოს მოთხრობა ან ნოველა (შესაძლებელია ნაწყვეტი ვრცელი ტექსტიდან) ნაბეჭდი სახით, არანაკლებ ერთი და არა უმეტეს სამი თაბახის გვერდისა; ჟანრი და თემა შეუზღუდავია;

უნივერსიტეტის ჟიური შიდაშესარჩევ ტურში გამოავლენს 10 ფინალისტს, რომლებიც მეორე ტურში გადაინაცვლებენ და მთავარი კონკურსის – იმპროვიზაციული ტურის მონაწილეები გახდებიან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფულად პრემიას და კომპანია „სილქნეტის“ პრიზებს გამარჯვებული სამეული მიიღებს:

I ადგილი – 1000 ლარი და კონკურსის სიმბოლო

II ადგილი – 700 ლარი

III ადგილი – 500 ლარი

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

www.tsu.edu.ge

2 22 23 91

www.facebook.com/tsu.legenda

თსუ არქეოლოგიური ექსპედიციის უნიკალური აღმოჩენა

თსუ-ს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სვანეთში, სოფელ ბოგრეშში ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით დათარიღებული ნამოსახლარი აღმოაჩინა. მესტიის მუნიციპალიტეტში 1979 წელს მესტია-უშგულის საავტომობილო გზის გაყვანის დროს ბრინჯაოს ხანით დათარიღებული თიხის ჭურჭელი (შუბის პირი, სამაჯურები, მძივები) აღმოაჩინეს. აღმოჩენილი არტეფაქტების შედეგად, ეს ადგილი ბრინჯაოს ხანის ბოგრეშის სამაროვნად ითვლებოდა, თუმცა მოგვიანებით, 2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაჩნდა ვარაუდი, რომ ეს იყო ნამოსახლარი და არა სამაროვანი.

წლევანდელმა არქეოლოგიურმა გათხრებმა კი ეს ვარაუდი დაადასტურა – თსუ არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილია სახურავი, იატაკი, ორნამენტირებული კერამიკა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის VIII-VI საუკუნეებით თარიღდება. წინარე ანგიკური ხანის გორა ნამოსახლარი აქამდე მდინარე ენგურის ხეობაში მხოლოდ სოფელ ხაიშში, ნაკრაში, უშგულსა და ეცერში იყო, 2019 წელს კი მათ რიცხვს სოფელ ბოგრეშის ნამოსახლარი შეემატა.

ბოგრეშის ნამოსახლარის აღმოჩენის შესახებ თსუ პროფესორი და ექსპედიციის ხელმძღვანელი ზვიად კვიციანი გვესაუბრება. 1979 წლის შემდეგ, პირველად სწორედ თსუ არქეოლოგიური ექსპედიციის ინიციატივით დაიწყო სოფელ ბოგრეშში გათხრები.

„2011 წელს სტრატეგრაფიული ჭრილის შედეგად, კულტურული ფენები გამოჩნდა. ფაქტობრივად, 1979 წლის შემდეგ, 2011 წელს, ამ მნიშვნელოვან ძეგლს პირველად ჩვენ შევეხეთ. ჩვენთვის საინტერესო იყო დაგვედასტურებინა ეს ძეგლი სამაროვანი იყო, თუ ნამოსახლარი. 2012 წელს სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში ჩავატარეთ მცირე დაბვერვა. ამ ფერდობზე, გათხრების დროს 2012 წელსვე დადასტურდა, რომ ძეგლის ზედა ფენა არის სამაროვანი და ნაეკლესიარი, მაგრამ არა გვიანი ბრინჯაოს ხანის, არამედ შუა საუკუნეების. ის სეზონი ასე დამთავრდა, პარალელურად, გათხრებს ვაწარმოებდით ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში.

ბოლო 10-12 წლის განმავლობაში, სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში თსუ არქეოლოგიის ინსტიტუტმა 100-მე მეგი სტაციონალური და სადაზვერვო ექსპედიცია განახორციელა. 2011 წლიდან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტი საველე არქეოლოგიურ გათხრებს ახორციელებს სვანეთში. გათხრები მიმდინარეობს,როგორც მდინარე ენგურის, ისე მდინარე ცხენისწყლის ხეობებში. 2011 წლიდან დღემდე უნიკალური აღმოჩენები გვაქვს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხაიშის საკულტო-რელიგიური კომპლექსი, სადაც აღმოვაჩინეთ უნიკალური არტეფაქტები, მათ შორის ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული თიხისაგან დამზადებული გამომწვარი კვერცხი ძვ.წ. VII საუკუნით დათარიღებული. ასეთის ანალოგი მსოფლიოს არცერთ მუზეუმში არ მოიპოვება. ჩვენს

გაგრძელება მე-3 გვ.

თსუ სტუდენტური კაპელა ფესტივალის Music & Sea გამარჯვებულია

თსუ სტუდენტურმა კაპელამ მუსიკისა და ცეკვის VIII საერთაშორისო ფესტივალზე გრან-პრი მოიპოვა. საბერძნეთში, ქალაქ პარალიაში გამართულ ფესტივალზე Music & Sea საქართველო პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურმა კაპელამ წარადგინა. როგორც თსუ სტუდენტური კაპელას ქორმაისტერმა, ლაშა მიროტაძემ გვითხრა, ამ ეტაპზე გუნდი ეროვნული კონკურსისთვის ემზადება, სამომავლოდ კი ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ვიზიტიც იგეგმება.

„საბერძნეთში მიღწეული წარმატება ვთვლი, რომ არის უმნიშვნელოვანესი. პირველად მივიღეთ მონაწილეობა კონკურსში საზღვარგარეთ და შევძელით გამარჯვება, ავიღეთ გრან-პრი. ემოცია უსაზღვროდ დიდი იყო, პირველ რიგში, იმიტომ რომ საქართველოს სახელი გავიტანეთ მის ფარგლებს გარეთ ასეთი წარმატებით,

მეორეც კონკურენცია ძალიან დიდი იყო, ევროპის თითქმის ყველა წამყვანი საგუნდო მუსიკის ქვეყნიდან იყვნენ კოლექტივები წარმოდგენილი, მიუხედავად ამისა, ჩვენ გვერგო მთავარი პრიზი. ასევე ჩვენ ვასახელეთ ჩვენი კაპელა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

„ჩვენ ვაგრძელებთ ბრდასა და განვითარებას, გაორმაგებული ძალებით. საბერძნეთში წარმოდგენილი ჟიურის, რომელშიც დღეისათვის წამყვანი დირიჟორები და ქორმაისტერები იყვნენ, მიწვევით ვგეგმავთ სხვადასხვა კონკურსებში მონაწილეობას ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, გარდა ამისა ვემზადებით ეროვნული კონკურსისთვის, რომელიც გაბაფხულზე მეექვსედ გაიმართება მთელი საქართველოს მასშტაბით. ასევე ვემზადებით არასაკონკურსო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის... მინდა მადლობა გადავუხადო თსუ-ს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს მხარდაჭერისათვის, ასევე საქართველოს საგუნდო საზოგადოებას და მის დამფუძნებელს, ჩემს პედაგოგოსა და ჩვენი კაპელის კონსულტანტს ქ-ნ ლიანა ჭონიშვილს,“ - ამბობს ლაშა მიროტაძე.

ყველაზე მაღალრეიტინგულები თსუ-ში

1-ლი გვერდიდან

დანიელ სტეპანენკო

მარიამ ცუხიშვილი

მარიამ გუგეშაშვილი

გოჩა მაისურაძე

ანა ჩხეიძე

კი ორივეს აერთიანებს. გადავწყვიტე რომ ფიზიკის მიმართულებით მესწავლა, არჩევანი თსუ-ზე შევაჩერე. ეს უნივერსიტეტი, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აღიარებული. ჩემი დიდი სურვილია, რომ უცხოელ მეცნიერებთან ერთად ვიმუშაო საზღვარგარეთ. იმედი მაქვს, რომ თსუ მომცემს ამის საშუალებას. ჩემთვის წარმატების მიღწევა დამოკიდებულია შრომაზე და რა თქმა უნდა, ცოტა იღბალზეც“, – ამბობს დანიელ სტეპანენკო.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს შორის მოხვდა ***გოჩა მაისურაძეც***. გოჩა მომავალი პროგრამისტია. თავისუფალ დროს ვიდეო თამაშებს თამაშობს. ალბათ, არავის გაუკვირდება, რომ მისი საყვარელი ჟანრი, როგორც ლიტერატურაში, ისე კინემატოგრაფიაში, ფენტეზია. გამოარჩევს ჯ. რ. რ. ტოლკინის წიგნს „სილმარილიონს“ და მისსავე ნაწარმოებზე პიტერ ჯექსონის მიერ გადაღებულ ტრილოგიას „ბეჭდების მბრძანებელი“.

„მიყვარს მათემატიკა და ლოგიკა, ეს ერთ-ერთი რამაა, რის გამოც დავინტერესდი პროგრამირებით. ასევე ვიდეო თამაშების თამაშისას მაინტერესებდა, როგორ ქმნიდნენ ასეთ საოცარ სამყაროს და ვფიქრობდი, ოდესმე მეც თუ შევძლებდი რაიმე ასეთის გაკეთებას. თსუ-ში ვფიქრობ ხარისხიან განათლებას მივიღებ და მექნება დროც, რათა საკუთარ თავზე თვითონ ვიმუშაო (ვფიქრობ საკუთარ თავზე მუშაობა ამ საგნისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია).

მინდა მუშაობა რაც შეიძლება მალე დავიწყო. ვფიქრობ ჩემს პროფესიაში ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკა და მსურს ის, რაც შეიძლება მალე მივიღო. დიდი იმედი მაქვს აქ მიღებული განათლება დამეხმარება გავხდე წარმატებული პროგრამისტი“, – ამბობს გოჩა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაღალრეიტინგულ სტუდენტებს შორისაა საერთაშორისო მიმართულების სტუდენტი, ***ანა აბრამიძე***. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც თსუ-ში ჩაბარება გადაწყვიტა, გაცვლითი პროგრამების მრავალფეროვანი არჩევანია.

„ზოგადად, ძალიან მომწონს თვითგანვითარების პროცესზე დაკვირვება, ვცდილობ არასდროს დავკმაყოფილდე მიღწეულით და ყოველი დღის ბოლოს იმაზე მეტი ვიცოდე, ვიდრე აქამდე ვიცოდი. მაღალი ქულები მქონდა და გრანტსაც ველოდი, თუმცა თუ ფაკულტეტზე ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი მექნებოდა, არ წარმომედგინა. როცა ეს გავიგე, ძალიან გახარებული და ამაყი ვიყავი და ახლაც ვარ, რადგან ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი წარმატებით გადავლახე. მომავალ აბიტურიენტებს ვურჩევ, დრო სწორად გადაანაწილონ და ნაყოფიერად იმუშაონ. ამაში არ იგულისხმება ღამეების თენება და ერთ დღეში მთელი თვის მასალის დაზეპირება. ყოველ დღე შედარებით მცირე მოცულობის ინფორმაციის გააზრებით სწავლაც საკმარისია. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება ჩემთვის ძალიან საინტერესოა, რადგან თანამედროვე სამყარო წარმოუდგენელია პოლიტიკურ ერთეულებს შორის სხვადასხვა სახის ურთიერთობების გარეშე. შეძენილი ცოდნა კი საშუალებას მომცემს სიღრმისეულად გავიაზრო მსოფლიოსა თუ საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები“,- გვეუბნება ანა აბრამიძე.

ანასთან ერთად, მაღალრეიტინგულ სტუდენტებს შორის არიან ***ჩანგელია გვანცა*** და ***მარიამ ნიგურიანი***. მარიამმა კიბერსაერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება აირჩია. თავისუფალ დროს თხილამურებზე სრიალებს და წიგნებს კითხულობს, მწერლებიდან განსაკუთრებით უყვარს დოჩანაშვილი, გამსახურდია და ამორჯიბი.

„ძალიან მინდა, რამდენიმე სემესტრის შემდეგ გავემგზავრო რომელიმე ევროპულ ქვეყანაში, სადაც შევძლებ გავიღრმავო ცოდნა და შევიძინო ახალი უნარჩევევები ჩემი პროფესიისთვის, რასაც სამომავლოდ აუცილებლად ჩემს ქვეყანას მოვახმარ. ძალიან მესიამოვნა, როდესაც გავიაზრე, რომ ის შრომა, რაც გასული წლის განმავლობაში გავწიე, დამიფასდა. რა თქმა უნდა ვეღლოდი მაღალ ქულებს, თუმცა ორმაგად გამიხარდა, როდესაც უმაღლესქულიან აბიტურიენტებს შორის აღმოვჩნდი“, – ამბობს მარიამი.

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე ისწავლის გვანცა ჩანგელიაც. „ყოველთვის მიყვარდა ხალხთან ურთიერთობა და ვთვლი, რომ ეს არის სფერო, რომელიც საშუალებას მომცემს მათი ცხოვრება ოდნავ მაინც შევცვალო უკეთესობისაკენ. ქვეყნის პირველი და ამავდროულად ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის სტუდენტობა ალბათ აბიტურიენტთა უმრავლესობის სურვილია და მეც ერთი მათგანი ვიყავი. მჯერა, რომ თსუ მომცემს ისეთ ცოდნას, რომლითაც შემეძლება ჩემს ქვეყანასა და ხალხს ღირსეულად ვემსახურო“, – გვეუბნება გვანცა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მაღალრეიტინგულ სტუდენტებს შორის პირველი ***ლუკა კუპრაშვილია***. ლუკას მათემატიკა და ტექნიკური საგნები იზიდავს, განსაკუთრებით უყვარს ინგლისური. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩაბარება. მეცადინეობის გარდა, თავისუფალ დროს კითხულობს. „განსაკუთრებით მიყვარს „დორიან გრეის პორტრეტი“, მართლაც დიდი გავლენა მოახდინა ამ წიგნმა მთელ ჩემს ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ აღვიქვამ სამყაროს. კითხვის გარდა, სპორტიც მიტაცებს, მაგრამ ყურება ნაკლებად, თამაშით გაცილებით დიდ სიამოვნებას ვიღებ“, – გვეუბნება ლუკა, – „ჩემი აზრით, ეროვნული გამოცდების შედეგებით არ განისაზღვრება არაფერი, მთავარია უნივერსიტეტში რას ვაკეთებ. ამიტომ აბიტურიენტებს ერთ რამეს ვურჩევდი, მაქსიმალურად დაიხარჯონ, მაგრამ პროდუქტიულად. რუტინული სამუშაო საჭიროა, თუმცა არის საზღვარი, სადამდეც ასეთ სწავლებას შეუძლია სარგებელი მოგიტანოს. ამის შემდეგ კი, სჯობს სხვანაირად მიუდგე სწავლას, რათა განვითარება შეძლო“, – ამბობს ლუკა კუპრაშვილი.

ლუკასთან ერთად ამავე მიმართულებაზე ისწავლის ***ანასტასია ცირეკიძეც***. ანასტასიამ ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის ან. რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 41-ე საჯარო სკოლა. როგორც გვიყვება, ძალიან უყვარს ფიქრი, ანალიზი, ადამიანებზე, მათ გარემომცველ საგნებსა და სამყაროზე დაკვირვება.

„გადაწყვეტილების მიღებისას, ცხადია, რომ ხარისხიანი განათლების მიღებაზე ვფოკუსირდი, ქართულ ბაზარზე კი, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიულია. ჩემი აზრით, მედიცინა და ეკონომიკა ის ორი სფეროა, რომელთა პროგრესის გარეშე კაცობრიობა დაღუპვისთვისაა განწირული. სწორედ ამიგომ, ჩემი არჩევანი ამ უკანასკნელზე შევაჩერე. მაღალკვალიფიციური ლექტორების ცოდნა და გამოცდილება, დასავლური ყაიდის გარემო, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პირობები და გაცვლითი პროგრამები კარიერული წინსვლისა და რეალური წარმატების გარანტიაა. ტექნიკური სფეროთი დაინტერესება სულაც არ მიშლის ხელს, თავისუფალ დროს ხელოვნებითა თუ ლიტერატურით ვისიამოვნო. განსაკუთრებით მიყვარს ჯაზი, რადგანაც მისთვის დამახასიათებელია გახსნილობა, სპონტანურობა და იმპროვიზირება. ეს ერთგვარი გათავისუფლებაა არსებული დოგმებისა თუ შაბლონებისგან“, – ამბობს ანასტასია ცირეკიძე.

მარიამ გიორგაძე ეკონომიკისა და ბიზნესის მაღალრეიტინგულ სტუდენტებს შორისაა. „ბავშვობიდან მიყვარს მათემატიკა და ყოველთვის ვიცოდი რომ ავირჩევდი ისეთ მიმართულებას, რომელიც მათემატიკური უნარების გამოყენების საშუალებას მომცემდა. ავირჩიე ეკონომიკა, რომელიც დამატებით ლოგიკური და ანალიტიკური უნარების განვითარებაში დამეხმარება. ვფიქრობ, ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ცხოვრებაში ნებისმიერ სირთულესა თუ პრობლემას განსხვავებული, პროფესიული თვალით შევხედავ და რისკებს უფრო სწორად გავთვლი. თსუ მაძლევს საშუალებას შევისწავლო ეკონომიკა საერთაშორისო სტანდარტებით. ნამდვილად ვიცი, რომ საქართველოში გავაგრძელებ ცხოვრებას და ყველანაირად ვეცდები, ჩემი ცოდნითა და გამოცდილებით ქვეყანას განვითარებაში დავეხმარო.

წლევანდელ აბიტურიენტებს მინდა ვუთხრა, რომ სირთულეები მათაც შეხვდებათ და, მთავარია, მათ მტკიცედ დაუდგნენ. საბოლოო გამოცდები არაფერია გარდა შეჯამება იმ ყველაფრისა, რაზეც მთელი წლის განმავლობაში ექნებათ ნამუშევარი. და კიდევ ერთი, არ დაავიწყდეთ, რომ მუშაობისგან თავის გადაწვა არ შეიძლება, განტვირთვა აუცილებელია“, – ამბობს მარიამ გიორგაძე.

იურიდიული ფაკულტეტი

იურიდიული ფაკულტეტის ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტი ***ანა ხურციძე*** გახდა. ფილმები და კლასიკური მუსიკა მისი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. განსაკუთრებით გამოარჩევს მოცარტს. უყვარს აბიური კინო. ამბობს, რომ კიმ კი-დუკის ფილმმა „ცარიელი სახლი“ (3-iron) მასზე წარუშლელი ემოციური კვალი დატოვა. წლების წინ სკოლაში ჩატარებულ იმიტირებულ სასამართლოზე ანა ხურციძე მიხვდა, რომ იურისტობა უნდოდა.

„თუმცა პროფესია მხოლოდ ბავშვური გატაცების გამო არ ამირჩევია. ეს ის სფეროა, რომელიც განსაკუთრებით მაინტერესებსდა რომლის შესწავლაც მომცემს საშუალებას ჩემსს ირგვლის არსებული ბევრი უსამართლობა გამოვასწორო. ბუნებრივია სამართლის ძირეულად შესწავლის სურვილმა თსუ-ში მომიყვანა.“ სამომავლო გეგმები ზუსტად ჩამოყალიბებული არ აქვს. უნდა,რომ უცხოეთში ისწავლოს და საბოლოოდ საქართველოში დაბრუნდეს. „ვეცდები ჩემი სიცოცხლე და საქმიანობა მაქსიმალურად ალტრუისტული იყოს“, – ამბობს ანა ხურციძე.

მარიამ ბაწელაშვილი იურიდიული ფაკულტეტის მაღალრეიტინგულ სტუდენტებს შორისაა. მან და მისმა მეგობრებმა ქალაქ გურჯაანში არასამთავრობო ორგანიზაცია დაარსეს, რომლის მიზანიც თანატოლებში სამოქალაქო ჩართულობის გააქტიურებაა. მარიამი ასევე არის პლატფორმა ახალგაზრდული საბჭოს ერთ-ერთი ლიდერი.

„ყოველთვის ვცდილობ დიდი დრო დავუთმო თვითგანათლებას და სხვადასხვა სფეროებზე კითხვა, ონლაინ ლექციების ყურება ფაქტობრივად ჩემი ჰობია. ყველაზე მეტად ამ საკითხებზე კამათი მომწონს და ხშირად ვიღებ მონაწილეობას დებატებში თუ არაფორმალური განათლების სხვა პროექტებში.

სამართლის შესწავლა მისი მნიშვნელობისა და საინტერესო თემატიკის გამო გადავწყვიტე. ვფიქრობ, რომ სამართლებრივი აზროვნება სახელმწიფოებრიობის, საზოგადოებრივი ღირებულებებისა თუ ცივილიზიის განვითარების ეტაპების

საუკეთესო ანარეკლია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც სწორედ იმიგომ ავირჩიე, რომ ვფიქრობ, ფუნდამენტურ ცოდნას სწორედ აქ მივიღებ. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის ლექტორებს სფეროში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ და შესაბამისად თეორიულთან ერთად პრაქტიკული ინფორმაციის გაზიარებაც შეუძლიათ. ჩემი აზრით, საზოგადოება ზედმეტადაა ქულებზე ორიენტირებული, როდესაც მთავარი რეალური ცოდნა და ინდივიდუალური აზროვნებაა, ამას კი გამოცდები სრულყოფილად ვერ აფასებს. აბიტურიენტებს სწორედ ამას ვურჩევდი – ეცადეთ ეს ერთი წელი საინტერესო გამოცდილებად აქციოთ, საიდანაც ღირებული ცოდნა დაგრჩებათ, მართლაც გაიაზრებთ სხვადასხვა საკითხებს და არ იქნებით მხოლოდ შეფასებაზე ორიენტირებული. რა თქმა უნდა, შრომა და საკუთარ თავზე მუშაობა აუცილებელია, მაგრამ არა ქულისთვის, არამედ ცოდნისთვის“, – ამბობს მარიამი.

საერთაშორისო სამართლის მიმართულებაზე ყველაზე რეიტინგულია ***ანა ჩხეიძე***. ანას ბედნიერებას ანიჭებს საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა და მოგზაურობა. საერთაშორისო სამართლითა და დიპლომატიით რამდენიმე წლის წინ დაინტერესდა. „ეს ფაქტორი, პროფესიის პრესტიჟულობასთან და პერსპექტიულობასთან ერთად, გადამწყვეტი აღმოჩნდა საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის არჩევისას. იმის ფონზე, რომ საქართველო საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული უამრავი გამოწვევის წინაშე დგას ამ ეტაპზე, ფართოვდება მისი საერთაშორისო ურთიერთობები და სულ უფრო მეტი სახელმწიფო ორგანო ერთვება ამ პროცესში, საერთაშორისო სამართლის სულ უფრო მეტი სპეციალისტია საჭირო. ამიგომ, ვფიქრობ, ეს ის სფეროა, სადაც მაქსიმალურად ბევრის გაკეთებას შევძლებ. ჩემთვის თავისუფლება, თანასწორობა და სამართლიანობა-მთავარი ფასეულობებია და მინდა ისეთ საზოგადოებაში ცხოვრება, რომელშიც ყველა ადამიანს ექნება წვდომა ამ „სიკეთეებზე“, – ამბობს ანა ჩხეიძე.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარიამ ცუხიშვილი და ***მარიამ გუგეშაშვილი*** ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველაზე მაღალრეიტინგულ პირველკურსელებს შორის არიან. მარიამ ცუხიშვილი თავს ყველაზე მშვიდად და ბედნიერად თავის ოთახში, სამეცადინო კუთხესთან გრძნობს. იქ რამდენიმე სამსახსოვრო ნივთი, წიგნები და კომპიუტერი დევს. სამეცადინო გარემო ოთახიდან უნივერსიტეტშიც გადმოინაცვლებს. უკვე მოინახულა თსუ მესამე კორპუსის ბიბლიოთეკა და იმედოვნებს,რომ იქაურობაც ისეთივე კომფორტული და პარმონიული გახდება, როგორც საკუთარი ოთახი.

„ყველაზე მეტად რაც ფსიქოლოგიაში, როგორც მეცნიერებაში, მომწონს, მისი ამოუწურავი, ამოუცნობი, მრავალფეროვანი და საინტერესო ბუნებაა. სფეროს მრავალმხრივობამ და პროგრესისა თუ თვითრეალიზაციის უზღვავმა შესაძლებლობებმა მიმიზიდა აღნიშნული ფაკულტეტისკენ. საგანმანათლებლო პროგრამისგან განსხვავებით, უნივერსიტეტის არჩევაზე ბევრი არ მიფიქრია. თსუ პირველია ამიერკავკასიაში და ქართული ფსიქოლოგიის ფესვებიც სწორედ აქაა. ვიცი, რომ მრავლისმომცემი ოთხი წელი მელის წინ. ჩემს მომავალს ჩემს სამშობლოს და განათლების სფეროს ვუკავშირებ, თუმცა კონკრეტულად სად და როგორ, ზუსტად არ მესახება“, – ამბობს მარიამ ცუხიშვილი.

მარიამ გუგეშაშვილს ძალიან უყვარს ბუნება და მიზნად აქვს დასახული, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს შემოვლა. როგორც გვეუბნება, ძალიან გაუჭირდა პროფესიის არჩევა, ჰუმანიტარულ საგნებთან ერთად, ძალიან უყვარს ტექნიკური საგნებიც.

„საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმარა იმაზე ფიქრი თუ რისი გაკეთება არ მომბეზრდებოდა მთელი ცხოვრების განმავლობაში და ეს რაღაც ადამიანის შინაგან სამყაროზე დაკვირვება აღმოჩნდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგობა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, მრავალი სფეროს მომცველი და საჭირო პროფესიაა, ხოლო მისი დაუფლება-დიდი უპირატესობა. ჩემი სურვილია საქართველოში ამ სფეროს განვითარებასა და პოპულარიზაციაში გარკვეული წვლილი შევიტანო და დარწმუნებული ვარ ამაში თსუ დამეხმარება, რადგან მათი ეს ფაკულტეტი ერთ-ერთი უკონკურენტოა. ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტებს შორის მოხვედრა უდავოდ დიდი პატივია და ყველა აბიტურიენტს ვუსურვებდი ამ გრძნობის გამოცდას“, – გვეუბნება მარიამი.

გვანცა ჩანგელია, ანა აბრამიძე, მარიამ ნიგურიანი

ანასტასია ცირეკიძე

თამარ მანთიძე

ლუკა კუპრაშვილი, მარიამ გიორგაძე

ანა ხურციძე, მარიამ ბაწელაშვილი

თსუ კვლავ რუსთაველის ფონდის კონკურსის ლიდერია

1-ლი გვერდიდან

სურსების რაციონალური გამოყენება. დირექტივას საქართველო 2016 წლიდან მიუერთდა. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველომ 2014 წელს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების დადებით იკისრა ვალდებულებები, რომლებიც საკანონმდებლო თუ სოციალური რეფორმების გაგარებასთან ერთად, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გარემოს დაცვის ღონისძიებებს გააგარებს, რაც თავისთავად წყლის დაცვასაც მოიაზრებს, და რომელიც განსაზღვრულია წყლის ჩარჩო დირექტივის მიზნებით. საყურადღებოა დირექტივის ერთ-ერთი მითითება, რომელიც ქვეყნებს მოუწოდებს წყლის მართვის 7 წლიანი გეგმების შემუშავებისკენ. ახალი შვიდწლიანი გეგმის იმპლემენტაცია ევროპაში 2021 წლიდან დაიწყება.

ამ მხრივ არც საქართველო უნდა იყოს გამონაკლისი და აუცილებელია მომზადდეს საფუძველი, რათა შესაძლებელი გახდეს წყლის რესურსების სააუზო მართვის გეგმების დამუშავება დირექტივის პრინციპების შესაბამისად. ქვეყნისთვის ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი გარემოს დაცვის სფეროში, რათა გვქონდეს „კარგი ხარისხის წყალი“ და წყალმომარაგების საქმე ჩაგვეს რაციონალურ და სისტემურ ფუნქციონირებაში“, – გვეუბნება თსუ დოქტორანტი.

მისი თქმით, კვლევა გამოკვეთს დადებით მიმართულებებს წყლის ობიექტების მართვის პრინციპების დანერგვის პროცესში და მოემსახურება როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე წყლის შიდა და ტრანსსასაზღვრო მართვის საქმეს. ამავდროულად, შეფასებული და გათვალისწინებული იქნება წყლის რესურსების მართვის გარემოზე ზემოქმედებაც.

„Aquatool-ის საშუალებით შესაძლებელია აუზის მოდელირება, ასევე ჰიდროლოგიური მონაცემების გარდა, მოდელში წყლის მომხმარებელთა და მიმწოდებელთა მონაცემების დამატება, რაც აფართოვებს კვლევის შესაძლებლობებს და გრძელვადიანი პროგნოზირების საშუალებას გვაძლევს. პროგრამა დამუშავებულია ესპანეთში, ქ. ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის (UPV) წყლისა და გარემოს ინჟინერიის კვლევითი ინსტიტუტის (IIAMA) მეცნიერების მიერ. მათ შორის გამოვარჩევდი ჩემს ხელმძღვანელს პროფესორ აბელ სოლერას, რომლის დახმარებით სტაჟირების დროს შევიძინე პროგრამის გამოყენების უნარები და დღემდე ვთანამშრომლობთ ამ საკითხში“, – ამბობს ზაზა გულაშვილი. მისი ამრით, კონკურსში გამარჯვება, რამდენიმე ფაქტორზე არის დამოკიდებული, მათ შორის იდეის მეცნიერული ღირებულება და საკონკურსო მოთხოვნებთან მაქსიმალური შესაბამისობაა.

„უნდა ვეცადოთ, რომ ვაკეთოთ მეცნიერება, რომელიც პრაქტიკულად გამოადგება სახელმწიფოს განვითარების გზაზე,“ – გვეუბნება ის – „მეცნიერულ ღირებულებაში ვგულისხმობ იდეის სიახლეს და პრაქტიკულობას, სწორ მეთოდოლოგიურ მიდგომას, დასრულების შემდგომ დროში მდგრადობას და რაც მთავარია მისი განხორციელების შემდგომ მაქსიმალურად მეტი სარგებლის მოგანას უშუალოდ დაკავშირებული მხარეებისთვის. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ქვეყნის მდგრადი განვითარების გარანტი უნდა გახდეს როგორც აღგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე.

უნდა ვთქვა, რომ ეს არ იყო პირველი კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მივიღე. გამარჯვების გარდა, მარცხიც მაქვს გამოცდილი, ამიგომ პირველ რიგში ყოველთვის მეხმარება თვითკრიტიკა, ვითვალისწინებ წარსულ შეცდომებს, გამოთქმულ რჩევებსა და შენიშვნებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გამოვიდა, რომ საპროექტო წინადადებამ სრულად დაკმაყოფილა გამარჯვებისთვის საჭირო კრიტერიუმები“, – როგორც ზაზა გვეუბნება, კვლევა აქტიურ ფაზაში ოქტომბრიდან შევა და დაგეგმილია როგორც საველე გასვლები, ისე სტაციონარული სამუშაოების წარმოება. საველე გასვლების დროს შეიკრიბება ინფორმაცია წყლის სფეროში არსებული მხარეების შესახებ, წყალსამეურნეო სისტემის მდგომარეობის აღწერა-შეფასება, აღგილობრივი გამოკითხვების გზით შეგროვდება ინფორმაცია წარსული მოვლენების შესახებ, ასევე წყალზე მოთხოვნის განსაზღვრა თითოეული ბენეფიციარის დონეზე. მიღებული მასალებისა და წარსული სამეცნიერო წყაროების ანალიზის საფუძველზე შედგება არსებული დინამიკა და მოხდება ანალიზი. საბოლოოდ, აიგება აუზის მოდელი და დამუშავდება სიმულაციური სცენარები წყლის მართვის ოპტიმალური გეგმის რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად. თსუ დოქტორანტის თქმით, კვლევის პროცესში სირთულეები ძირითადად დაკავშირებული იქნება მონაცემების მოპოვების პროცესთან.

„ამის მიზეზი ჰიდრომეტრიული საგუშაგოების ქსელის სავალალო მდგომარეობაა, რომლის გამოც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული მნიშვნელოვნად შეფერხდა დაკვირვებების წარმოება. თუმცა, არსებობს პრობლემის გადაჭრის მეცნიერული გზები, რომელმაც შესაძლოა გარკვეული დრო მოითხოვოს, მაგრამ ეს მომენტი რა თქმა უნდა გათვალისწინებულია პროექტის ვადების შესაბამისად. ასევე საველე გასვლების დროს შესაძლოა თავი იჩინოს რიგ უწყებებთან ურთიერთობის სირთულეებმა. რადგან პროექტი სრულდება თსუ და გეოგრაფიის ინსტიტუტის ბაზაზე, იმედი მაქვს რომ ხელმძღვანელების, კოლეგების და ადმინისტრაციის დახმარებით ოფიციალურ დონეზე აღვილად გადავლახავ აღნიშნულ ბარიერებს“, – გვიყვება ზაზა გულაშვილი.

პროექტის პარალელურად თსუ დოქტორანტს უკვე დაწყებული აქვს მუშაობა ახალი იდეის პროექტად ქცევაზე. ამასთანავე, კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას გეგმავს ყოველწლიურ საფაკულტეტო კონფერენციაზე. გარდა აღგილობრივი კონფერენციისა, დაგეგმილი აქვს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე პრეზენტაციის წარდგენა, რის შემდეგაც მოამზადებს სამეცნიერო სტატიას საერთაშორისო რეცენზირებად გამოცემაში გამოსაქვეყნებლად.

1-ლი გვერდიდან

თსუ არქეოლოგიური ექსპედიციის უნიკალური აღმოჩენა

აღმოჩენებს შორისაა საოქრო-სამჭედლო-საიუველირო იარაღები.

2019 წელს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ძალისხმევითა და დახმარებით ჩავატარეთ გათხრები. წლევანდელი გათხრები იყო მასშტაბური მიწის სამუშაოების ჩატარების თვალსაზრისით, რადგან ნაგებობა-ნამოსახლარი მიწის ზედაპირიდან 2.5-3 მეტრის სიღრმეში მდებარეობდა. ამ გათხრებმა გვიჩვენა, რომ ზედა ფენაში სამაროვნისა და ნაეკლესიარის გარდა, წყლის არხიც არსებობდა. ამ სიახლესთან ერთად აღმოვაჩინეთ ქვედა ფენა: კედლები, იატაკი, ალიზი, კერამიკის ფრაგმენტები, ხის ძელები, რომლებიც გამოყენებული იყო მშენებლობისთვის, გადასახური მასალა და ასევე, ძვლოვანი მასალაც. ჩვენ მიერ აღმოჩენილი ნამოსახლარი მიეკუთვნება ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებს“, – გვიყვება თსუ პროფესორი.

თსუ არქეოლოგიური ექსპედიცია ვარაუდობს, რომ ძეგლს შესაძლოა ჰქონდეს უფრო გვიანდელი ქვედა ფენაც. თუმცა, ძეგლი ამ ეტაპზე დაზიანებულია. მიზეზებზე ზვიად კვიციანი გვესაუბრა.

„ეს არის მრავალფენიანი ძეგლი, პირველი ფენა არის შუა საუკუნეების, ქვედა ფენა ძვ.წ. VIII-VI საუკუნეების, ჩვენი ვარაუდით, კიდევ უნდა იყოს სხვა ფენები შემორჩენილი. თუმცა ძეგლი დაზიანებულია. პირველ რიგში, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ღელე, რომელიც ძეგლთან სიახლოვეს ჩამოედინება და აზიანებს მას. მეორე მხრივ, 80-იან წლებში ამ ტერიტორიაზე მეწყერი ჩამოწვა, რამაც 3 ოჯახის კარ-მიდამო მთლიანად წაიღო. დაზიანდა ძეგლიც. ამასთანავე, 2016-2018 წლებში საავტომობილო-სამშენებლო კომპანია შ.პ.ს „მამისონს“, რომელიც მესტია-უშგულის საავტომობილო გზაზე ასფალტს აგებდა, რამდენჯერმე ვთხოვეთ, რომ ამ ძეგლთან ჩვენ გარეშე არ ჩაეტარებინათ სამუშაოები. მიუხედავად ჩვენი მრავალჯერადი თხოვნისა და ძალისხმევისა, მათ გზის გაყვანის დროს ძალიან დაზიანეს და ფაქტობრივად, მოსპეს ძეგლი, იმდენად რომ გზაზე ძლოვანი მასალაც კი იყო დაყრილი“, - გვეუბნება ზვიად კვიციანი.

თსუ არქეოლოგების ექსპედიციაში თსუ პროფესორებთან ერთად 10 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას. ექსპედიციაში ჩართული არიან გერმანიის, პოლონეთის, იტალიისა და სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები. ამ ეტაპზე თსუ-ში სამი მუდმივმოქმედი არქოლოგიური ექსპედიციაა: გრაკლიანში, სვანეთსა და კახეთში. ექსპედიციებში მონაწილეობის მიღება სხვადასხვა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის სტუდენტებსაც შეუძლიათ.

2011-18 წლებში თსუ არქეოლოგების მიერ სვანეთში განხორციელებული სამუშაოების შედეგად გამოვლენილია სხვადასხვა პერიოდისა და კატეგორიის უაღრესად საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლები და უნიკალური არტეფაქტები: ძვ. წ. VIII-VII სს. მეტალურგიული წარმოების კერა (ჭუბერის თემი, სოფ. ქვედა მაღრი), ანტიკური ხანის მინის საწარმოს ნაშები (ძვ. წ. I-ახ. წ. I სს., მულახის თემი, სოფ. არცხელი), ძვ. წ. XV-IV საუკუნეების ბოგრეშის მრავალფენიანი ნამოსახლარი და სამაროვანი (იფარის თემი, სოფ. ბოგრეში), შუა საუკუნეების ხანის სამაროვანი (სოფ. ლუპა, ფარის თემი), შუა საუკუნეების ნამოსახლარი (ბეჩოს თემი, სოფ. უშხვანარი), გვიანი შუა საუკუნეების სამაროვანი (ეცერის თემი, სოფ. ებუთი), საიუველირო (საოქრომჭედლო) სპილენძ-ბრინჯაოს კოლექცია (ბეჩოს თემი სოფ. ქართვანი, ადგილი ბენიერი), სოფ. ხაიშის ანტიკური ხანის საკულტო-რელიგიური კომპლექსი, კლასიკური ხანის რკინის მეტალურგიული საწარმოო კერა და რკინის ქვის კარიერები (ჭუბერის თემი სოფ. ზედა ლახმი, ზედა მარღში); რომაული ხანის საგუშაგო კოშკი (ჭუბრის თემი სოფ. ზედა მარღი) ოქროს სარეწებთან დაკავშირებული კლდეში ამოკვეთილი გობი (ჭუბერის თემი, სოფ. სგურიში (მეკვშდა ბოგი), ანტიკური ხანის ნამოსახლარი (ნაკრის თემი, აღგილი „ლამზურბაჩი“) შუა საუკუნეების წყალსაღენები (ლენჯერის თემი, სოფ.ქაშუეთი), სამთამადნო მაღარო (ბეჩოს თემი, აღგილი, ტირბიში), გვიანი შუასაუკუნეების ნამოსახლარი (ფარის თემი სოფ. ზემო ლუჰა), წმ. ბარბარეს სახელობის ნაეკლესიარი (ეცერის თემი, სოფ.ლაღრერი), ხვამლის წმ. გიორგის სახელობის ნაეკლესიარი (ბეჩოს თემი, სოფ. ახალშენი), აღმოჩენილია უნიკალური არტეფაქტები ანტიკური ხანის საოქრომჭედლო (საიუველირო) იარაღები, რაც პირველი შემთხვევაა ქართულ არქეოლოგიაში და სხვა.

ამ ეტაპზე სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ უკვე შესრულებულია ჭუბერისა, ნაკრის, ფარის, ბეჩოს, მულახისა, იფარისა და უშგულის ტერიტორიებზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების (ობიექტების) ინვენტარიზაცია, ეს სამუშაოები ჩატარდა რანდენიმე ეტაპად: პირველი ეტაპი დაეთმო მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის, ნაკრის, ბეჩოს, მულახისა და უშგულის ტერიტორიებზე შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის გაცნობასა და სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ ცნობების მოძიებას, აგრეთვე ხეობის შესახებ წყაროთმცოდნეობით-ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის მოძიებასა და გაცნობას. მეორე ეტაპი მიეძღვნა საველე სამუშაოებს, რომლის დროსაც ჩატარდა სადაზვერვო სამუშაოები, ახალი არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა, მათი და უკვე ცნობილი ძეგლების ზუსტი აღგილმდებარეობის, გავრცელების არეალისა და სავარაუდო საზღვრების დადგენა. ხდებოდა თითოეული ობიექტისა და იქ აკრეფილია არქეოლოგიური მასალის ფოტოფიქსაცია, აზომვა, აღწერა და GPS კოორდინატების აღება. მესამე ეტაპი მიეძღვნა კამერალურ სამუშაოებს, რომლის დროსაც მოხდა მონაცემთა დამუშავება, ობიექტების რუკაზე დატანა, სააღრიცხვო ბარათების შედგენა, ანგარიშის მომზადება და ერთიან მონაცემთა ბაზაში განთავსება. ეს სამუშაოები მომავალშიც გაგრძელდება.

გარდა ამისა ექსპედიციების მიერ აღწერილია მოსახლეობაში გაბნეული უამრავი უძველესი არტეფაქტი ბრინჯაოს ეპოქიდან დაწყებული გვიანი შუასაკუნეებით დამთავრებული.

თსუ პროფესორი ზვიად კვიციანი სვანეთის სისტემატიური და სტაციონალური არექოლოგიური კვლევა გადაუდებლობაზე საუბრობს.

„არქეოლოგიური კვლევები უნდა ჩატარდეს, როგორც ენგურის ასევე ცხენისწყლის ხეობებში, სხვანაირად ვერ შეივსება საქართველოს ისტორიოგრაფიაში არსებული სერიოზული ხარვეზი, რასაც ჩვენი ქვეყნის მთიანი ზოლის წარსულის შესწავლის უკმარისობა ჰქმნის. მასალის გარკვეული ნაწილის ახსნა ალბათ გაძნელდება ვიდრე არ განხორციელდება შემთხვევითი მონაპოვრების კვალდაკვალ უკვე მონიშნული ძეგლების (ხაიში, ჭუბერი, ბეჩო, უშგული, მულახი, ხოფური, ბაბილი, ნანარი) არქეოლოგიური გათხრები“, – აღნიშნავს თსუ პროფესორი.

ყველაზე მაღალრეიტინგულები თსუ-ში

მე-2 გვერდიდან

მედიცინის ფაკულტეტი

ბექა ჩიქოვანი და ***თამარ მანთიძე***

თსუ მედიცინის ფაკულტეტის მაღალრეიტინგული პირველკურსელები არიან. ბექა ჩიქოვანმა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ლიის თემის 1-ლი საჯარო სკოლა დაამთავრა ოქროს მედალზე. ოჯახურ ტრადიციას აგრძელებს და თავისი მომავალი ექიმის პროფესიას დაუკავშირა. თავისუფალ დროს ძალიან უყვარს კითხვა, თევზაობა, ცურვა და ლაშქრობა.

„გავიზარდე ექიმის ოჯახში. ბავშვობიდანვე მომწონდა ეს რთული და საინტერესო პროფესია, რამაც გავლენა იქონია ჩემს სამომავლო პროფესიის არჩევაში. ჩემი მომავალი მიზანია ვისწავლო წარჩინებით და მოკრძალებული წვლილი შევიტანო მედიცინის განვითარებაში. არჩევანი გავაკეთე თსუ მედიცინის ფაკულტეტზე, რადგან ჩემთვის დიდი პატივია ვისწავლო საქართველოს პირველ „ცოდნის ტაძარში“. ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტად აღიარება ჩემთვის მოულოდნელი და სასიხარულო იყო. დეკანის მიერ პლაშეტი დჯილდოება ერთგვარი სტიმულია სამომავლო წინსვლისა. მომავალ აბიტურიენტებს ვურჩევდი, წარმატებისათვის საჭიროა მონდომება და დაუღალავი მეცადინეობა. ჩემი წარმატების ფორმულაა: სწავლა, სწავლა და სწავლა. წინ მომავლისაკენ“, – ამბობს ბექა ჩიქოვანი.

ბექას მსგავსად, თამარ მანთიძესაც ბავშვობიდან ჰქონდა გადაწყვეტილი ექიმობა. „პატარა ასაკიდან მინდოდა ადამიანების ჯანმრთელობაზე მეზრუნა. ამ მიმართულებაშიც სწორედ ადამიანების დახმარების შესაძლებლობა მიზიდავს. ვფიქრობ, მედიცინის სწავლის პროცესი იქნება უსაზღვროდ შემეცნებითი, საინტერესო და სიახლეებით სავსე, რადგან ყველა უჯრედი ჩვენს ორგანიზმში თავად საოცრებაა. დარწმუნებული ვარ თსუ ყველა იმ მოლოდინს გამიმართლებს, რომლის გამოც ის ავირჩიე. რაც მთავარია იმედი მაქვს მედიცინის სფეროს წარმომადგენლებს საქართველოში ექნებათ მეტი შესაძლებლობა, წარმატება და უამრავი თავისი საქმის „დიდოსტატი“, – გვეუბნება თამარი. თავისუფალ დროს ხატავს, მუსიკას უსმენს და კითხულობს. ძალიან უყვარს თავის ოთხფეხა მეგობართან ერთად სეირნობა“. ის ყოველთვის ახერხებს ჩემს პოზიტივით ავსებას. მეგობრებთან ერთად ფილმების ყურება და საუბარი ასევე დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ჩემზე გავლენა სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა ნაწარმოებმა მოახდინა. გამორჩეულად კი მახსოვს ო. ჰენრის „უკანასკნელი ფოთოლი“, რომელიც ალბათ 10 წლისამ წავიკითხე და გავაცნობიერე რამხელა მნიშვნელობა აქვს საკუთარი თავის რწმენას. პროფესიისაღმი ინტერესი კი კიდევ უფრო გამიღრმავა ყველასათვის ნაცნობმა ამერიკულმა სერიალმა – „გრეის ანატომიამ“. მასში ნაჩვენებია ნამდვილი ექიმის შესანიშნავი მაგალითი და გუნდური მუშაობის შედეგი“, – გვეუბნება თამარი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გურანდუხტ ოსიძე და ***მარიამ თხინვალელი*** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაღალრეიტინგულ პირველკურსელებს შორის არიან. გურანდუხტმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაბარება ფაკულტეტზე არსებული მიმართულებების მრავალფეროვანების გამო გადაწყვიტა.

„თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტი ბევრ მიმართულებას მოიცავს, რაც დამეხმარება საკუთარი თავისა და დანიშნულების აღმოჩენაში. ჯერჯერობით, საკუთარი თავის ძიების პროცესში ვარ. რასაც ამ ეტაპზე ვგრძნობ არის პასუხისმგებლობა – მინდა რასაც ხელს მოვკიდებ, კარგად შევასრულო და საკუთარი საქმის სპეციალისტი გავხდე. მსაამოვნებს სწავლა და პროცესში უფრო კონკრეტული მიზნებიც გამიჩნდება. ყველას ვურჩევ, რომ სასურველი ფაკულტეტის არჩევისას კარგად დაფიქრდნენ, დაფიქრდნენ რისი კეთება უყვართ და მაშინ გამოცდებისთვის მომზადებისას მოვალეობასა და სტრესზე მეტად სიამოვნებას იგრძნობენ. როცა რაღაცას სიყვარულით აკეთებ, ნერვიულობა და შიშიც ნაკლებია, ყველაფერი ძალიან ბუნებრივად გამოდის“, – ამბობს გურანდუხტი.

მარიამ თხინვალელს ფაკულტეტის საუკეთესო ქულების მქონე პირველკურსელებს შორის საკუთარი თავის აღმოჩენა ძალიან გაუხარდა. როგორც ამბობს, ქართული ლიტერატურისა და ენის სიყვარულმა გადააწყვეტინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ქართული ფილოლოგიის პროგრამაზე სწავლა.

„ლიტერატურა ვრცელი და დიდი სამყაროა, წარსული, აწმყო და მომავალი თითქოს ერთშია სინთეზირებული, ეცნობი ძველ ტექსტებს,მუშაობ აწმყოში და თავადაც ცდილობ, რაიმე შექმნა მომავლისთვის. ის კითხვები, რომლებიც მკითხველებს გვებადება, პასუხების ძიება, აღმოჩენები, ჯაჭვური კავშირები. მიხარია, რომ პროფესია „ლოგოსს“ ანუ სიტყვას დავუკავშირე. ქართულ ენას დღესდღეობით მოფრთხილება და დაცვა სჭირდება. გულდასაწყვეტია, როცა ქართულ ლამაზ სიტყვებს ბარბარიზმებით ანაცვლებენ. მინდა, ჩემი წვლილი შევიტანო ენის დაცვასა და განვიათარებაშიც. როცა დავრწმუნდი ჩემს გადაწყვეტილებაში, თსუ-ს გარდა არცერთ უნივერსიტეტზე არ მიფიქრია, რადგან საქართველოში ჰუმანიტარული განათლების მშობლად, სწორედ თსუ მიმაჩნია“, – ამბობს მარიამი, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, აბიტურიენტებს, მომავალ სტუდენტებს და ადამიანებს,რომლებსაც სურთ წარმატების მიღწევა, ურჩევს რომ ბევრი იშრომონ. „შესაძლოა მათ დაბრკოლებებიც შეხვდეთ, მაგრამ არ დაივიწყონ, რომ „ბედნიერება შეიძლება იპოვო ყველაზე ბნელ ადგილასაც კი, თუ არ დაგავიწყდება სინათლის ანთება“. აანთონ გონების ნათელი და წინ, შემართებით მიზნებისაკენ!“ – ამბობს მარიამ თხინვალელი.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 200-ზე მეტი აკრედიტებული პროგრამა მოქმედებს, უნივერსიტეტის 7 ფაკულტეტზე 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი ეროვნული უნივერსიტეტია კავკასიაში, რომელიც ევროპული განათლებისა და ღირებულებების მატარებელი ქართველი ინტელექტუალების მიერ დაარსდა. ის პირველია არამარტო საუკუნოვანი ისტორიით, არამედ გამოცდილებით და შესაძლებლობებით. 2019 წლის საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით თსუ მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2% შედის (The U.S.News&World Report). ამასთან, თსუ წელსაც მოხვდა თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში (Times Higher Education World University Rankings). უკვე მეოთხე წელია თსუ ერთადერთი უნივერსიტეტია კავკასიის რეგიონიდან, რომელიც მოხვდა თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში.

მარიამ თხინვალელი, გურანდუხტ ოსიძე

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2019“ თსუ-ში

1-ლი გვერდიდან

ალექსანდრე დვალის საჯარო ლექცია თემაზე – „როგორ ავაწყვე ტელესკოპი?“.

ლექციამე მოწვეულმა სტუმარმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა საკუთარი გამოცდილება და დაინტერესებულ პირებს მისცა რჩევები და რეკომენდაციები.

თსუ – საბავშვო მეცნიერება სკოლის მოსწავლეებისათვის

ფესტივალის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს შორის სკოლის მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით გამორჩული იყო 19 სექტემბერი. მათ იმიტირებულ არქეოლოგიურ გათხრებში მიიღეს მონაწილეობა. ასევე დაათვალიერეს თსუ ზოოლოგიისა და მინერალოგიის მუზეუმის საინტერესო ექსპონატები. თსუ სტუდენტებმა და პროფესორებმა მოსწავლეებისთვის ქიმიაში, ბიოლოგიასა და ფიზიკაში სახალისო ცდები ჩააგარეს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის მიმართულების სტუდენტებმა და პროფესორებმა ინოვაციური პროექტები წარმოადგინეს. 161-ე საჯარო სკოლის მოსწავლის ელენე ცინცაძის ყურადღება ყველაზე მეტად ქიმიის კუთხემ მიიქცია. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოვედი, რომ მენახა გამოფენები. ყველაზე მეტად ქიმიის კუთხე მომეწონა, სადაც ექსპერიმენტებს აგარებენ. ძალიან საინტერესო იყო, რადგან მიყვარს ექსპერიმენტების ჩაგარება და სახლშიც ხშირად ვაგარებ ხოლმე,“ – აღნიშნა ელენემ.

ღონისძიების დასასრულს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა თორნიკე ქადეიშვილმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე „მათემატიკა ყველგან“. თსუ პროფესორმა გიორგი დვალაშვილი კი მოსწავლეებს ტურიზმის განვითარებაში ბუნების ძეგლების როლზე ესაუბრა.

საქართველოს ეროვნული ატლასი (ინგლისურ ენაზე) და საქართველოს გეოგრაფიული ატლასი (ქართულ ენაზე) პრეზენტაცია თსუ-ში

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ინგლისურენოვანი ეროვნული ატლასის და საქართველოს გეოგრაფიული ატლასის (ქართულ ენაზე) პრეზენტაცია გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გამოცემები თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტმა მოამზადა.

„საქართველოს ეროვნული ატლასი“ არის სამეცნიერო-საცნობარო ხასიათის კომპლექსური კარტოგრაფიული ნაწარმოები, მოიცავს დაახლოებით 120 რუკას, ასევე ტექსტებს, გრაფიკებსა და ფოტოებს. ატლასში წარმოჩენილია ქვეყნის მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, რესურსები, კულტურული მემკვიდრეობა, ისტორია, მოსახლეობა, მეურნეობა, სოციალური სფერო და ეკოლოგიური მდგომარეობა. მასში წარმოდგენილია სხვადასხვა სფეროებში არსებული თანამედროვე მეცნიერული მიღწევები.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის თემატური რუკების შედგენაში გამოყენებულია მოსახლეობის ახალი აღწერის მასალები. ატლასი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ქვეყნის სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროს და განკუთვნილია როგორც მეცნიერთა, ასევე საზოგადოების ფართო წრისათვის. ატლასი დაიბეჭდა გერმანიაში, ქ. შტუტგარტში, გამომცემლობა Franz Steiner Verlag-ის მიერ 2018 წელს.

„საქართველოს გეოგრაფიული ატლასი“ დაიბეჭდა გამომცემლობა პალიტრა L-ში. იგი არის ახალი, თანამედროვე ტიპის გამოცემა, მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა გაეცნოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ბუნებრივ და სოციალურ-კულტურულ გარემოს. ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელიც ატლასში წარმოდგენილი მასალის წყაროს წარმოადგენს, მკითხველისათვის შეიძლება დამოუკიდებელი კვლევის საფუძვლად იქცეს.

საპატიო დოქტორის წოდების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი და საჯარო ლექციები

დოქტორს, პროფესორს, მის სამეფო უმაღლესობას, პრინც ჰაინრიჰ ფონ უნდ ცუ ლიჰთენშთაინს, პროფესორს, დოქტორ მარკ ჰენეს დანიელს, პროფესორ ნიკოლას გოგსა და პროფესორ ქეთი დაიან შიკს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ.

საპატიო დოქტორის წოდება პროფესორებს თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილების თანახმად მიენიჭათ; მათ შორის, ფინანსური მენეჯმენტის დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის პრინც ჰაინრიჰ ფონ უნდ ცუ ლიჰთენშთაინს. დოქტორ მარკ ჰენეს დანიელს საპატიო დოქტორის წოდება საქართველოს საინვესტიციო კლიმატის განვითარებასა და საზღვარგარეთ საქართველოს პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიენიჭა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კაფეში პროფესორმა მარკ ჰენეს დანიელმა და მისმა სამეფო უმაღლესობამ, დოქტორმა, პროფესორმა, პრინცმა ჰაინრიჰ ფონ უნდ ცუ ლიჰთენშთაინმა გაერთიანებული საჯარო ლექცია წაიკითხეს თემებზე: „რისკიდან პასუხისმგებლობამდე: პასუხი მსოფლიო გამოწვევებს“; „ოჯახის მიზანი: ინდივიდუალური და გაზიარებადი მიზნების 2 კონცეპტუალური ანალიზი ბიზნეს ოჯახებში“; „ადამიანის ევოლუცია და ადამიანური ტექნოლოგიების გარიჟრაჟი".

ამავე ღონისძიებაზე პროფესორ რობერტ ბათს აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საპატიო პროფესორის წოდება მიენიჭა.

ქალის ტრადიციული როლი სოციალიზაცია-ინკულტურაციის პროცესში და თანამედროვე გამოწვევები

თსუ ეთნოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2019"-ის ფარგლებში ჩაგარდა ვერა ბარდაველიძის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია: „ქალის ტრადიციული როლი სოციალიზაცია-ინკულტურაციის პროცესში და თანამედროვე გამოწვევები".

სოციალიზაციის საკითხი ყოფისა და კულტურის კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხთაგანია. აღზრდის სისტემები და ინსტიტუტები, ცოდნის დაგროვებისა და გადაცემის ფორმები, განათლების არსი და მახასიათებლები ესაა მცირე ჩამონათვალი ამ მიმართულებით წარმოებული კვლევებისა. აღნიშნული საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე საქართველოსთვის, როდესაც სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა თუ ვინ არის პასუხისმგებელი ახალ თაობებში ღირებულებათა ცვლილება-დევალვაციაზე. რომელ სივრცეში ხდება მათი აღზრდა, ვინ არიან ამ პროცესში ჩართული აქტორები და როგორაა მათი ფუნქციები გადანაწილებული. არანაკლებ მნიშვნელოვანი და აქტუალურია საზოგადოებაში ქალთა აქტივობისა და როლის საკითხი. კონფერენციის მიზანია სამეცნიერო დისკუსიის სტიმულირება, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში აღზრდისა და განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევის თემად აქცევს, განიხილავს სოციალიზაციისა და ინკულტურაციის პროცესში ქალთა როლს და ამ როლის ცვლილებებს, დასახავს საკვლევ და სამსჯელო მიმართულებებს აღზრდის და განათლების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით.

კონფერენციაზე ძირითადი მოხსენებების შემდგომ გაიმართა დისკუსია.

თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პრეზენტაცია

ფესტივალის ფარგლებში თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერებმა გააცნეს სკოლის მოსწავლეებს საერთაშოროსო თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული სამეცნიერო შედეგები. ინსტიტუტის მეცნიერები აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო კოლაბორაციებში: ATLAS (ცერნის დიდი ადრონული კოლაიდერი), JEDI (იულიხის სამეცნიერო ცენტრი), KM3NeT კოლაბორაცია, COMET (პროტონული ამაჩქარებლის კომპლექსი იაპონიაში).

საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) ორგანიზებით საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ გაიხსნა, რომლის თემასაც „1980-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი“ წარმოადგენს.

სიმპოზიუმში მონაწილეობს 100-ზე მეტი მეცნიერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის: აშშ, გერმანია, იტალია, სამხრეთ კორეა, მაკედონია, არაბეთის გაერთიანებული საემირო, ბულგარეთი, ლიეტუა, ლატვია, უკრაინა, აზერბაიჯანი, რუსეთი; აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები თბილისიდან და რეგიონებიდან. დამსწრე საზოგადოებას საშუალება აქვს იხილოს შსს არქივიდან წარმოდგენილი გასული საუკუნის 80-90-იანი წლების ამსახველი ფოტომასალა.

თსუ მეცნიერი ანტარქტიკის კვლევით პროგრამაში

ახალგაზრდა მეცნიერმა, თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, გეოგრაფიის დოქტორმა, ლევან ტიელიძემ ანტარქტიკის კვლევითი ცენტრის და ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტის (ახალი ზელანდია) სადოქტორო პროგრამაზე სწავლის სრული 100%-იანი დაფინანსება მოიპოვა.

ლევან ტიელიძე პირველი ქართველი დოქტორანტია, რომელიც ახალ ზელანდიაში, ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტში ისწავლის. დაფინანსება მოიცავს ყოველთვიურ სტიპენდიას, სწავლის საფასურს, საველე კვლევებს, სამეცნიერო ვიზიტებს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში და სხვა აქტივობებს.

ლევან ტიელიძეს გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიენიჭა გეომორფოლოგია-გლაციოლოგიის მიმართულებით. მეორე სადოქტორო დისერტაციას ანტარქტიკის კვლევითი ცენტრის პროგრამის დასრულების შემდეგ ახალ ზელანდიაში დაიცავს. დისერტაცია კოსმოგენური ნაფენებით ძველი გამყინვარების კვლევას ეხება.

თანამედროვე და პალეო (ძველი) გამყინვარების კვლევა კავკასიონის და სამხრეთის ალპების (ახალი ზელანდია) ფარგლებში

„უკვე დავიწყე მეორე სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა, თემა საკმაოდ კომპლექსური და საინტერესოა. ჩემი სადოქტორო კვლევის თემატიკა მოიცავს თანამედროვე და პალეო (ძველი) გამყინვარების კვლევას კავკასიონის და სამხრეთის ალპების (ახალი ზელანდია) ფარგლებში. კვლევის პროცესი მიმდინარეობს როგორც საველე ასევე დისტანციური ზონდირების (სატელიტური სურათები) გამოყენებით. საველე გასვლების დროს ვაგროვებთ შესაბამის მასალას, რომელიც შემდგომში საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ საკვლევი არეალის ძველი გამყინავრების პარამეტრების და კლიმატის აღდგენა. შემდეგ ეტაპზე მონაცემები მუშავდება კოსმოგენურ ლაბორატორიაში, რომელიც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს და ასევე რამდენიმე ეტაპს მოიცავს. მუშაობის პროცესში ასევე ხდება საკვლევი რეგიონის გეომორფოლოგიური შესწავლა და კარტოგრაფირება. მონაცემების დამუშავების პროცესში ვიყენებთ თანამედროვე კომპიუტერულ პროგრამებს. საბოლოო შედეგების მისაღებად ანალიზები იგზავნება აშშ-ში, კალიფორნიის უნივერსიტეტში.

კავკასიონის და სამხრეთის ალპები თითქმის ერთი და იგივე განედებში მდებარეობს. მაგრამ დედამიწის ნახევარსფეროები არის სხვადასხვა. შესაბამისად აქ მოპოვებული და დამუშავებული მასალის ერთმანეთთან შედარება და დაკავშირება ძალიან საინტერესო სურათს მოგვცემს.

ზოგადად ძველი გამყინვარების და კლიმატის კვლევა დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი სამეცნიერო ორგანიზაციებისთვის, რადგან ეს იძლევა საშუალებას რომ აღვადგინოთ დედამიწაზე წარსულში მომხდარი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მოვლენები. ამ თვალსაზრისით ასევე ძალიან საინტერესოა ყინულის ბირთვის (ice core) კვლევა. რამდენიმე წლის წინ უცხოელ კოლეგებთან ერთად საქართველოში უკვე ჩავატარეთ მსგავსი სამუშაოები. უახლოეს მომავალში კი ამ მიმართულებით ძალიან სერიოზული საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევის ჩატარება იგეგმება“, – გვეუბნება ლევანი. ჩვენთან საუბრისას ის სტუდენტობის პირველ წლებს იხსენებს.

„ბაკალავრიატზე სტუდენტობის პირველი წლები იოლი ნამდვილად არ ყოფილა, ზოგადად იმ პერიოდში არსებული სოციალური პირობების გამო. შესაბამისად არაერთი სირთულის დაძლევა მომიწია. მაგალითად მეორე კურსიდანვე დავიწყე სამუშაოს ძებნა, რომ საკუთარი შემოსავალი მქონოდა, რა თქმა უნდა ეს შემოსავალი მიზერული იყო. მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში კი ერთდროულად სამ ადგილას ვმუშაობდი რომ სწავლის საფასური გადამეხადა. საბოლოოდ ყველა ეს წინაღმდეგობა უკან დარჩა და დღეს უკვე მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კვლევით ცენტრში ვარ. ამიგომ მომავალ სტუდენტებს ვურჩევ, რომ გულისხმიერება და მონდომება გამოიჩინონ სწავლის პერიოდში. დაბრკოლებების არ შეეშინდეთ და ყოველთვის პოზიტიური განწყობა შეინარჩუნონ. გქონდეთ იმის რწმენა, რომ რასაც აკეთებთ აუცილებლად გამოვა“.

ერთი დღე ანტარქტიკის კვლევით ცენტრში

„არ შეიძლება ეს შესანიშნავი გარემო არ მოგწონდეს. აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის რომ ნებისმიერი დაინტერესებული ახალგაზრდა კარგ მეცნიერად ჩამოყალიბდეს. ეს არ ეხება მხოლოდ მატერიალურ ტექნიკურ ბაზას, რომელზეც აღარაფერს ვამბობ არამედ ზოგადად სამეცნიერო გარემოს.

ცენტრიდან მაქვს წვდომა მსოფლიო თითქმის ყველა სამეცნიერო საგამომცემლო ბაზაზე. თითქმის ყოველდღიურად ვეცნობი უახლოეს სამეცნიერო ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა კვლევები გარდება გლაციოლოგიური მიმართულებით. ასევე ვცდილობ, რომ დავეუფლო კვლევის ახალ ლაბორატორიულ და კამერალურ მეთოდებს. ყოველკვირეულად ვესწრები მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი მეცნიერების მოხსენებებს უნივერსიტეტში და ვისმენ მათ მოსაზრებებს მიმდინარე გლობალური კლიმატის ცვლილების და მყინვარების კვლევებთან დაკავშირებით.

ჩემი დიდი სურვილია საქართველოშიც ასე დაფასებული იყოს მეცნიერება და შევქმნათ ასეთი სამეცნიერო გარემო სადაც ყველა საჭირო პირობა იქნება იმისთვის შექმნილი რათა ასეთი დონის კვლევები ჩავარაგოთ“, – გვეუბნება ლევანი. მისი სამომავლო გეგმები საქართველოში ამ მიმართულებით სრულფასოვანი კომპლექსური კვლევების ჩატარებას უკავშირდება. ახალგაზრდა მეცნიერი გლაციოლოგიურ (მყინვარების) კვლევებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც განახორციელებს.

“ჩემთვის ყველაზე მეტად სასიხარულო ის გარემოებაა, რომ აქაური დაფინანსებით მნიშვნელოვანი კვლევის ჩატარებას საქართველოშიც შევძლებ, რაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გლაციოლოგიურ (მყინვარების) კვლევებს კიდევ უფრო მეტ საერთაშორისო ხასიათს შესძენს“, – ამბობს ლევან ტიელიძე.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებგვერდი: www.tsu.edu.ge